ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 02

22.02.2024 წ.

დ. ლენტეხი

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის**

**სხდომა N 2**

დ. ლენტეხი 21. 02. 2024 წ.

წ.

დასწრების ფურცელი :

კომისიის თავმჯდომარე: / ლ.გუგავა /

1. წევრი: /დ. პირველი/
2. წევრი: /მ. ლიპარტელიანი/
3. წევრი: /. ონიანი /
4. წევრი: /ი.ქურასბედიანი/
5. წევრი: /გ. შავრეშიანი/
6. წევრი: /რ. მუბანიანი/

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე:** **/ლ. გუგავა/**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N 2

2024 წლის 21 თებერვალს დღის 2 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი, საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა, კომისიის წევრები; საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით პირველი, მოადგილე მევლუდ ლიპარტელიანი, ფრაქცია ,,ქართული- ოცნება დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ირაკლი ქურასბედიანი, მოწვეული სტუმარი საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი.

**დღის წესრიგი:**

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი იურდიული პირის საბიბლიოთეკო გაერთიანების 2024 წლის გეგმა-პროგრამის განხილვა.

/ მომხ. ლ. გუგავა /

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი იურდიული პირის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების გეგმა- პროგრამის განხილვა.

/მომხ. ლ. გუგავა/

3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი პირის ჯ. მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრის გეგმა პროგრამის განხილვა/

/მომხ. ლ. გუგავა./

4. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი პირის ფერმერული მომსახურების სერვის ცენტრის გეგმა-პროგრამის განხილვა.

/მომხს. ლ. გუგავა /

5. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი პირის კომუნალური მომსახურეობის და კეთილმოწყობის სამსახურის გეგმა-პროგრამების განხილვა.

/მომხ. ლ.გუგავა./

6. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი პირის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების გეგმა-პროგრამის განხილვა.

/მომხ. ლ .გუგავა./

/მომხ.ლ. გუგავა/

7. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის 2024 წლის გეგმა-პროგრამის განხილვა.

/მომხს. ლ.გუგავა./

8. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი პირის გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური განვითარების ცენტრის გეგმა-პროგრამის.

/მომხ. ლ. გუგავა./

1. **მოისმინეს:** საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარუდგინა ა(ა)ი პირების 2024 წლის გეგმა - პროგრამები, რომელიც წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. აღინიშნა რომ 2024 წელს გეგმა-პროგრამებში გათვალისწინებულია დასაქმებულთა ანაზღაურების 10%-იანი ზრდა, ხოლო ბიბლიოთეკის თანამშრომლებზე 10%-იანი ზრდა მეტია ზოგიერთ თანამშრომელზე. საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა რომ ტურიზმის განვითარების ცენტრის გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური განვითარების ცენტრის გეგმა-პროგრამაში განვითარებისთვის წარმოდგენილი თანხები უნდა იყოს ჩამლილი, მოითხოვა მათი ბიუჯეტების გეგმა პროგრამების ჩასწორებული სახით წარმოდგენა. კომისიამ იმსჯელა მათ ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებზე და გადაწყვიტეს:

**კომისიამ გადაწყვიტა:** საკითხი- ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის წარმოდგენილი გეგმა-პროგრამები გატანილი იქნას მორიგ სხდომაზე დასამტკიცებლად.

კომისიის სხდომა დასრულდა 13-საათზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საბიუჯეტო - საფინანსო კომისიის

თავმჯდომარე: [signature] /ლ. გუგავა/

/მომხ. ლ -გუგავა./

წერილის ნომერი:ქ/20466757
თარიღი: **21/02/2024**

**ადრესატი:**

გიორგი გაზდელიანი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

---

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი გაზდელიანს

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარის

ლამზირა გუგავას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 21 თებერვალს ჩატარდა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა, სხდომაზე განხილული იქნა ა(ა)იპ -ების გეგმა-პროგრამები.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1.ა(ა)იპ ლენტეხის საბიბლიოთეკო გაერთიანებამ წარმოადგინოს განმარტებითი ბარათი რა მოტივით მოხდა შტატიან თანამშრომლებზე ხელფასის 10% -ზე მეტის მატება;

2.ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების ცენტრ ლაილაზ დაევალოს წარმოადგინოს განმარტებითი ბარათი რისთვის იყენებენ განვითარების ფონდში გათვალისწინებულ თანხას - (9 000) ლარი (ჩამლილად).

3. ა(ა)იპ გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური განვითარების ცენტრს დაევალოს წარმოადგინოს განმარტებითი ბარათი რისთვის იყენებენ განვითარების ფონდში გათვალისწინებულ თანხას (9000)ლარს (ჩაშლილად).

4. ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრმა წარმოადგინოს განმარტებითი ბარათი, რისთვის იყენებენ განვითარების ფონდში გათვალისწინებულ თანხას (1000 ) ლარს (ჩაშლილად).

ლამზირა გუგავა

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე